# ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა

ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNFPA

UN
WOMEN

სამოქმედო გეგმა მომზადდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, პროგრამის "ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში" ფარგლებში. პროგრამა ერთობლივად ორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით.

# სარჩევი

1. შესავალი 4

2. სიტუაციის ანალიზი 7

3. სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები 17

4. სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები 23

5. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების კალენდარი 24

# 1. შესავალი

გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, მათ შორის, ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა, საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ბოლო წლების მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით, რაც განპირობებული იყო მულტისექტორული მიდგომითა და მიზანმიმართული, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებით.

საქართველო ყველა იმ ძირითადი კონვენციის მონაწილე მხარეს წარმოადგენს, რომელიც ადგენს გენდერული უთანასწორობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს. ჯერ კიდევ 1994 წელს საქართველო მიუერთდა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენციას, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ იქნა მიღებული 1979 წელს. გარდა ამისა, 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბოლის კონვენცია, 2011), რომლის რატიფიკაცია 2017 წლის აპრილში განხორციელდა. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებას საქართველოში მოჰყვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში მოექცა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და მსხვერპლთა დაცვის/დახმარების საკითხები. შესაბამისად, კანონის მოქმედების სფერომ მოიცვა არამარტო ოჯახის ფარგლები, არამედ, გენდერული ნიშნით ქალის მიმართ გამოვლენილი ძალადობა ოჯახის ფარგლებს გარეთაც, როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში.

საერთაშორისო სტანდარტების და ნორმების ჰარმონიზების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები და გაჩნდა ახალი სამართლებრივი აქტები. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 2006 წელს და ფუნდამენტურად განახლდა 2017 წელს. კანონის მიზნებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შემუშავება და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია წარმოადგენს.

გარდა საკანონმდებლო რეფორმებისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების მიმართულებითაც. კერძოდ, 2010 წელს გენდერული თანასწორობის საბჭო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი ორგანო გახდა; 2013 წელს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, ხოლო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში - პრემიერ-მინისტრის თანაშემწის თანამდებობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, რომელიც 2019 წელს უფრო გაძლიერდა პრემიერ-მინისტრის თანაშემწის სტატუსის მრჩევლის დონემდე ამაღლებით. აღმასრულებელ დონეზე, 2008 წლის დეკემბრიდან 2017 წლის ივნისამდე მოქმედებდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო, რომლის ძირითად ამოცანასაც ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მისი თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელის შეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია იყო. აღნიშნული უწყებათაშორისი საბჭო 2017 წლის ივნისიდან ჩაანაცვლა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისმა კომისიამ (შემდგომში - უწყებათაშორისი კომისია), რომელსაც სხვა ამოცანებთან ერთად,

დაევალება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავება, ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებების კოორდინაცია და მონიტორინგი. გარდა ამისა, უწყებათაშორისი კომისია ასრულებს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) სტამბოლის 2011 წლის 11 მაისის ევროპის საბჭოს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მაკოორდინირებელი ორგანოს როლს. იგი პასუხისმგებელია პოლიტიკის განვითარების კოორდინაციაზე სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების ჩათვლით, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული საქმიანობებისა და პროგრამების დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. კომისია აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის ეროვნულ მექანიზმს წამოადგენს.[1]

2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად არის აღიარებული და მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ქალთა უფლებების დაცვას, ოჯახში ძალადობასთან ბრძოლასა და მისი შედეგების აღმოფხვრას. ამ მიზნის მისაღწევად, სტრატეგია რამდენიმე ამოცანას მოიცავს, მათ შორის, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის სამართლებრივი მექანიზმების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, ქალთა მიმართ/ ოჯახში ძალადობის საკითხების თაობაზე ცნობიერების ამაღლებას საჯარო მოხელეებსა და ფართო საზოგადოებაში და ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის, ფსიქოლოგიური სერვისებისა და თავშესაფრების უზრუნველყოფას. აღნიშნული მიზნების მიღწევისათვის, საქართველოს მთავრობის მიერ, სტრატეგიის მოქმედების ვადების ფარგლებში, დამტკიცებული იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების; 2016-2017 წლების და 2018-2020 წლები სამოქმედო გეგმები.

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის პრაქტიკაში რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ, 2008 წლიდან რეგულარულად ხდება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა" ეროვნულ სამოქმედო გეგმების მიღება და განხორციელება (2007-2008 წწ.; 2009-2010 წწ.; 2011-2012 წწ.; 2013-2015 წწ; 2016-2017 წწ; 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმები). ამასთან, აღსანიშნავია რომ „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა" რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანთან, CEDAW-სა და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) სტამბოლის კონვენციასთან.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს, შესაბამისი სერვისის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გაუმჯობესებას ემსახურება.[2] აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის სფეროების, მიზნების და ამოცანების ფორმულირებისას, მხედველობაში იქნა მიღებული „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს ძირითადი პრინციპები.

1 Georgia, National-level Review of the Implementation of the BPfA Beijing +25.

2 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-04/Country%20Gender%20Equality%20Profile%20GEO.pdf

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის (შემდგომში ეროვნული სამოქმედო გეგმა) 2022-2024 წლებისათვის აერთიანებს მოქმედების 4 სფეროს: პირველი სფერო მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებს; მე-2 სფერო ეხება ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელ ღონისძიებებს; მე-3 სფეროში გათვალისწინებულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ზომები; ხოლო მე-4 სფერო ინტეგრირებული პოლიტიკის და მონაცემების შეგროვების საკითხებს ფარავს.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია. გარდა ამისა, კომისიის კომპეტენციაში შედის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება (გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულების მე-4 მუხლი).

2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. სამუშაო პროცესი წარიმართა ინკლუზიურად, რაც გამოიხატა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობაში მუშაობის საწყის ეტაპზევე. მუშაობის პროცესში, რომელიც რამდენიმე ვირტუალურ და ფიზიკურ შეხვედრას მოიცავდა, აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც დარგობრივი სამინისტროები და მუნიციპალიტეტები, ისე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატი, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. სამუშაო ჯგუფის წევრების უშუალო მონაწილეობით და კონტრიბუციით იდენტიფიცირდა თემატური პრობლემები, პრობლემების გამომწვევი მიზეზები და უარყოფითი შედეგები. სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია უკუკავშირის მიღების მიზნით გაზიარდა არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. რელევანტური შენიშვნები და მოსაზრებები კი თემატურად აისახა საბოლოო დოკუმენტში.

სამუშაო შეხვედრის პარალელურად, სამდივნოს მიერ შესწავლილი იქნა ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის GREVIO-ს ანგარიშები და უცხო ქვეყნების ეროვნული სამოქმედო გეგმების საუკეთესო პრაქტიკები.

სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების სტანდარტებთან. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სექტორულ პრიორიტეტებს, კონკრეტულ საქმიანობებს, რაც აუცილებელია მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებათა წრეს, შესრულების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს; ამავე დადგენილების საფუძველზე, სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა სამდივნო.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა ეხმიანება მდგრადი განვითარების (SDG) მე-5 და მე-16 მიზნებს. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა შეესაბამება 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში („ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“) გაწერილ პრიორიტეტსაც გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის თითოეულ ფაქტზე სწრაფი და ქმედითი რეაგირების შესახებ.

## 2. სიტუაციის ანალიზი

მიუხედავად საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე განხორციელებული არაერთი ცვლილებისა და მნიშვნელოვანი რეფორმებისა, ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა სახელმწიფოსთვის კვლავ რჩება ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოწვევად.

ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამო შეფერხდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) განახლება 2021 წლისათვის. სამოქმედო გეგმის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2022-2024 წლებში, სახელმწიფოს პრიორიტეტად სახავს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის აღმოფხვრას, ძალადობის პრევენციას და მსხვერპლთა დაცვას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნები, ამოცანები და აქტივობები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით სამართლებრივი ჩარჩოსა და შესაბამისი სერვისის უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ემსახურება, მდგრადი განვითარების მეხუთე და მეთექვსმეტე მიზნების, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა (CEDAW) და სტამბოლის კონვენციის საფუძველზე შემუშავდა.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის/დახმარების მიმართულებით დღეს არსებული პრობლემების იდენტიფიცირების, მისი მასშტაბისა და მიზეზების დადგენის მიზნით გამოყენებულ იქნა „პრობლემის ხის“ მეთოდი, რომელიც დაეფუძნა ბოლო წლებში ჩატარებულ კვლევებს, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების ანგარიშებს, ამ ანგარიშებთან დაკავშირებით მიღებულ რეკომენდაციებს, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებსა (მათ შორის, სპეციალურ ანგარიშებს) და სხვა თემატურ ანგარიშებსა და რეკომენდაციებს, რომელთა განხილვის შემდგომაც იდენტიფიცირდა ქვემოთ მოცემული (მტკიცებულებებზე დაფუძნებული) პრობლემები, პრობლემების გამომწვევი ფაქტორები და უარყოფითი შედეგები, ხოლო პრობლემების გადაჭრის მიზნით შემუშავდა სამოქმედო გეგმის პროექტი.

სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებისას განხილულ იქნა შემდეგი ანგარიშები და რეკომენდაციები:

- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ;
- ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2021;
- სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში;
- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის კომიტეტის საკითხთა ჩამონათვალი საქართველოს მე-6 პერიოდულ ანგარიშთან მიმართებით;
- უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის დასკვნები და რეკომენდაციები, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, 29 იანვარი 2021 წელი;

- თანასწორობის თაობათა ფორუმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმოხილვა;
- სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”;
- საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში - “ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში”;
- სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”;
- სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ”;
- თავშესაფრის მომსახურების მიმწოდებელ პროფესიონალთა/თანამშრომელთა რეკომენდაციები;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეკომენდაციები.

# ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია

### ***საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისადმი***

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული აქტივობები, რის შედეგადაც შემცირებულია გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული სტერეოტიპები, ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ გენდერული როლების არასწორი აღქმა და დამოკიდებულებები ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაში. წლების განმავლობაში ითვლება, რომ სახლი ქალის სივრცე და კომპეტენციაა, ხოლო კაცს პოლიტიკასა და ზოგადად პროფესიულ არენაზე უფრო ეხერხება საკუთარი თავის წარმოჩენა და წარმატების მიღწევა.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული მასშტაბური კვლევები საქართველოში ტარდება დროის დიდი ინტერვალებით. შესაბამისად, რთულია მიმიდნარე დინამიკაში დავაკვირდეთ კვლევების მიგნებების ცვლილებებს. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უწყებების და სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული ძალისხმევის შედეგად, სახეზე გვაქვს მიგნებების ტენდენციების პოზიტიური ცვლილებები.

ბოლო ათწლეულში ჩატარებული ყველაზე მასშტაბური „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017[3].“ გვაჩვენებს, რომ სტერეოტიპულ დამოკიდებულებასთან ერთად, მოსახლეობაში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით მაღალი მიმღებლობა აღინიშნება. გამოკითხულთა შორის ქალების თითქმის ერთ მეოთხედსა (22%) და კაცების ერთ მესამედს (31%) მიაჩნია, რომ გარკვეულ გარემოებებში ცოლის ცემა გამართლებულია[4].

3 ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017.

4 ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017.

ბოლო წლების მანძილზე, სახეზე გვაქვს მსხვერპლ ქალთა მიერ მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისებისადმი მიმართვის დადებითი ტენდენცია. თუმცა, საყურადღებოა ბოლოდროინდელი კვლევის მიგნებები, რომელიც მიუთითებს სახელმწიფო სერვისების შესახებ ცნობადობის არადამაკმაყოფილებელ მაჩვენებელზე[5]. კვლევა მოწმობს, რომ გამოკითხულთა 88%-სთვის ცნობილია პოლიციის სამსახურების მანდატის შესახებ, ხოლო 57%-მა იცის, როგორ დაუკავშირდეს ცხელი ხაზის სამსახურებს. გაცილებით მცირე რაოდენობისთვისაა ცნობილი ფსიქოლოგიური დახმარების შესაძლებლობის (38%) და კრიზისული ცენტრის შესახებ. მცირედი განსხვავებაა ქალებისა და კაცების ინფორმირებულობას შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დასახმარებლად არსებული მომსახურებების თაობაზე. კაცებთან შედარებით (36%), ქალების მეტი წილია (40%) ინფორმირებული ფსიქოლოგიური მომსახურების არსებობის შესახებ. ასევე, ქალებზე (32%) უფრო ნაკლებმა კაცმა (27%) იცის, როგორ მოიძიოს თავშესაფარი და კრიზისული ცენტრები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის.

### *ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, პანდემიის პერიოდში*

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის გამეორების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მოძალადე პირებისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის სპეციალური პროგრამების მიწოდება. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 2015 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდეგში - პრობაციის სააგენტო) ჩართულობით შემუშავდა და დაინერგა პროგრამა- „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი". აღნიშნული კურსი იუსტიციის სამინისტროს პრობაციის სააგენტოს სისტემის ფარგლებში ხორციელდება 2016 წლიდან. გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების (ძდექ; საია), პრობაციისა და პენიტენციური სამსახურის ფსიქოლოგების აქტიური ჩართულობით სასწავლო კურსი 2018 წელს გადაიხედა, დაიხვეწა და დაინერგა პრობაციის სააგენტოს სისტემის ფარგლებში, საქართველოს ყველა ცენტრალურ რეგიონში. ასევე, 2019 წელს პილოტირდა ორ პენიტენციურ დაწესებულებაში (№16 და №17 დაწესებულება). სასწავლო კურსის ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დასანერგად 2021 წელს ფასილიტატორად გადამზადდა პენიტენციური სისტემის 26 ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. 2022 წელს დაიწყო პროგრამის დანერგვა 8 პენიტენციურ დაწესებულებაში (№2, №6, №8, №10, №12, №15, №16 და №17). სასწავლო პროგრამა ეფუძნება გენდერული ნიშნით მოძალადეების რეაბილიტაციისთვის ინტერვენციის ესპანურ პროგრამას (PRIA და PRIA MA).მისი მიზანია სხვადასხვა ტიპის ძალადობრივი ქცევის შემცირება/აღკვეთა, სექსისტური და დისკრიმინაციული ქცევის მოდიფიკაცია და რეციდივის პრევენცია. ამასთანავე, პროგრამა ძალადობრივი ისტორიის მქონე მოძალადეებს ეხმარება ძალადობის გენდერული ასპექტების გააზრებაში, კონფლიქტის გადაჭრის ახალი უნარების დაუფლებაში, თანასწორობისა და პარტნიორულ ურთიერთობებში პატივისცემის საფუძველზე, ქცევითი ნორმების განვითარებაში. პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში შემუშავებულია „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი"-ის შუალედური შეფასების ინსტრუმენტები, რაც გულისხმობს, პროგრამის დასრულების შემდეგ მონიტორინგზე მყოფი ბენეფიციარის შეფასებას, თუ რამდენად შეინარჩუნა პროგრამის შედეგად მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. 2018 წელს პროგრამაში 125-მა პრობაციონერმა მიიღო მონაწილეობა და 2019 წელს 151-მა პრობაციონერმა და 10-მა მსჯავრდებულმა[6] 2020-2021 წლებში კი 157-მა პრობაციონერმა მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართულ პირთა რიცხვი გაიზარდოს. პროგრამის მიწოდება შეფერხდა პანდემიის პერიოდში, რადგან არ იყო მორგებული ონლაინ სწავლებისთვის და ასევე, პენიტენციური სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებისთანავე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან

5 UN Women, UNDP, UNFPA, საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება 2021.

6 REPORT OF THE GOVERNMENT OF GEORGIA ON THE IMPLEMENTATION OF THE COUNCIL OF EUROPE CONVENTION ON PREVENTING AND COMBATING VIOLENCE AGAINST WOMEN AND DOMESTIC VIOLENCE (ISTANBUL CONVENTION) გვ 41.

გამომდინარე, მსჯავრდებული ექვემდებარება ქცევის კორექციის პროგრამის გავლას. აღსრულების თვალსაზრისით, გამოწვევად რჩება მსჯავრდებულთა კურსებში ჩართვის საკითხი. შესაბამისად, კურსებში უმეტესად ერთვება ის მსჯავრდებული, რომელიც ნებაყოფლობით გამოხატავს სურვილს, რომ გახდეს ქცევის კორექციის პროგრამის ბენეფიციარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენები გამოწვევების საპასუხოდ, მსჯავრდებულთა ქცევის კორექციის პროგრამებში ჩართულობის მოტივაციის გაზრდის მიზნით პენიტენციურ სამსახურში დაწყებულია მუშაობა კრედიტების სისტემაზე, რომელიც გულისხმობს „კარგი დროის" გამომუშავებას პროგრამებში ჩართულობის მოტივაციის ასამაღლებლად. კერძოდ, თუ მსჯავრდებული ჩაერთვება ქცევის კორექციის კურსში, დაგროვილი კრედიტების შესაბამისად, შესაძლებელი იქნება თავისუფლების აღკვეთის ვადის შემცირება. ჯერჯერობით, შემუშავების ეტაპზეა კრედიტების სისტემა. პროექტის ფინანსურ და ექსპერტულ მხარდაჭერას ახორციელებს აშშ-ს საელჩოს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო (INL).

ამდენად, როგორც კვლევებითაც დასტურდება და სიტუაციის ანალიზით ვლინდება, იდენტიფიცირებულია არსებული პრობლემა, **პრობლემის გამომწვევი ფაქტორები და უარყოფითი შედეგები.** კვლავ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება გენდერული როლებისადმი და შემწყნარებლობა ძალადობისადმი. აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია დაბალი ცნობიერება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რაც უარყოფითი შედეგის სახით იწვევს

ძალადობის წახალისებას. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების მიმღებლობის მაჩვენებლების შესამცირებლად და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა და მომსახურებებზე ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად საჭიროა მთელი რიგი აქტივობების განხორციელება. როგორც აღინიშნა, გამოწვევას წარმოადგენს ასევე, მსჯავრდებულ მოძალადეთა უპირობო ჩართვა ქცევის კორექციის პროგრამაში და შესაბამისად ძალადობის განმეორების/რეციდივის რისკის თავიდან აცილება.

არსებულ სტერეოტიპებთან ბრძოლის მიზნით, მნიშვნელოვანია ცნობიერების ასამაღლებელი და მიზნობრივი ღონისძიებების პერმანენტულად განხორციელება და მდგრადობის უზრუნველყოფა. ასევე, ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამების იმგვარად განვითარება, რომ შესაძლებელი იყოს მიწოდება სხვადასხვა სიტუაციაში, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობისას.

***მსხვერპლთა მომსახურებების ინდივიდუალური მიდგომის და მასშტაბურობის სიმცირე***

საქართველოს მთავრობა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევაზე/შემცირებაზე და ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა თუ მხარდაჭერის მომსახურებების განვითარებაზე. დღეის მდგომარეობით სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში მოქმედებს 5 თავშესაფარი და 5 კრიზისული ცენტრი და ფუნქციონირებს საკონსულტაციო უფასო ცხელი ხაზი.

თავშესაფარში განთავსებულ პირთა უმეტესობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბენეფიციართა ეკონომიკური გაძლიერება, მათი დასაქმების მხარდაჭერის მიმართულებით. ასევე საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის სპეციალიზებული მომსახურებების ნაკლებობა.[7] საგულისხმოა, რომ გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისა (თავშესაფრებში) და სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის (კრიზისული ცენტრებში) სპეციფიკაზე მორგებული სერვისის მიწოდება.[8] ასევე, სერვისის მიწოდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის.[9]

მსხვერპლთა/დაზარალებულთათვის სახელმწიფოს მიერ კონპენსაციის გაცემა წარმოადგენს სახელმწიფო ვალდებულებას, რომელიც ქვეყანამ იკისრა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით, აღნიშნული ვალდებულების შესრულება შეუძლებელია სპეციალური მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის არსებობის გარეშე. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. წესის რეალიზება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლების უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

ძალადობის მსხვერპლთა დროული გამოვლენისა და კოორდინირებული რეაგირების მარეგულირებელი ნორმატიული საფუძვლების არ არსებობა, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების (ეროვნული რეფერალური მექანიზმი) პროექტის შემუშავებაზე და დამტკიცებაზე.

მსხვერპლთათვის ინდივიდუალურ მიდგომებზე მორგებული მომსახურების მიწოდების, სერვისების მასშტაბურობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია შესაბამისი მარეგულირებელი ბაზის არსებობა. თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებისათვის მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწა.

7 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ეროვნული კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ (2017) <https://www.geostat.ge/media/26061/National-VAW-Study-Report-ENG.pdf>.

8 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

9 იქვე

პანდემიამ და მისმა თანმდევმა შეზღუდვებმა ქალთა მიმართ ძალადობაზე /ოჯახში ძალადობაზე სახელმწიფოს რეაგირების ყველა ასპექტზე იმოქმედა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქალთა მიმართ ძალადობის თვისებრივი კვლევა COVID-19-ის კონტექსტში[10] გამოიკვეთა, რომ კომუნიკაციის ფორმის ცვლილებამ (ანუ დისტანციურ კომუნიკაციაზე გადასვლამ) დამატებითი დაბრკოლებები შეუქმნა მსხვერპლებს, სერვისის მიმწოდებლები ონლაინ ფორმატში ხარისხიანი მომსახურების გაწევას ვერ ახერხებდნენ, ისევე, როგორც რთული აღმოჩნდა ბენეფიციარებისთვის სერვისების მიღება ინტერნეტზე და მაღალ ტექნოლოგიებზე წვდომის შეფერხების გამო. გამოვლინდა რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული სპეციალური პრევენციული ღონისძიებები არ იყო საკმარისი, მიუხედავად იმის რომ მოქალაქეებთან დაიგზავნა მოკლე სატელეფონო ტექსტური შეტყობინებები ძალადობის ინციდენტების შესახებ შეტყობინების შესაძლო გზების შესახებ მეტად აქტიური პრევენციული კამპანიის ჩატარება იყო საჭირო. დაზარალებულებს დადგენილი Covid-19 შეზღუდვების გამო გაუჭირდათ სერვისებზე წვდომა, თუმცა ბენეფიციარებმა რომლებმაც მიმართვა შეძლეს, კმაყოფილები იყვნენ მომსახურებით. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სერვისის მიღებამდე დაზარალებულებმა თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების შესახებ არაფერი იცოდნენ. ასევე, დისტანციური კონსულტაციები ისეთი ეფექტური არ აღმოჩნდა, როგორც პირისპირ შეხვედრები. დისტანციურ მუშაობაზე გადასვლასთან ერთად, ბევრი აქტივობა, რომელიც ქალთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე იყო მიმართული, საერთოდ გაუქმდა.

### *მსხვერპლთა ამოცნობისა და დოკუმენტირების საკითხების მიმართ არასაკმარისი ცოდნა*

გამოწვევას წარმოადგენს ჯანდაცვის მუშაკების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ამოცნობის, ფაქტებზე სათანადო რეაგირებისა და დოკუმენტირების საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით სამართლებრივი ბაზა მოწესრიგდა და სატრენინგო ონლაინ მოდულიც მომზადდა, საჭიროა ჯანდაცვის მუშაკების მიერ აღნიშნული ტრენინგ მოდულით მომზადების საკითხზე სათანადო ყურადღება და ძალისხმევის გაგრძელება.

ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლება და ვითარდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები, ინერგება ახალი ინსტრუმენტები (რისკის შეფასების მექანიზმი, ელექტრონული მონიტორინგი, უფასო იურიდიული მომსახურება და სხვა), როგოც სამართლებრივ სივრცეში, ასევე მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში. შესაბამისად, გამოწვევას წარმოადგენს აღნიშნული საკითხების შესახებ დროული და სიღრმისეული ცოდნის მიწოდება სხვადასხვა პროფესიონალებისადმი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინფორმირების დონის ამაღლებისთვის გაგრძელდეს გადამზადების კურსები და სხვადსხვა ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებები.

სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა **პრობლემების გამომწვევი ფაქტორები და უარყოფითი შედეგები**. მონიტორინგის[11] ფარგლებში გამოკვეთილია აღნიშნული პრობლემების გამომწვევი ფაქტორები, რაც უკავშირდება მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ეფექტურობას, საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების მასშტაბურობას, ისევე, როგორც ბენეფიციართა მხარდაჭერის ნაკლებობას თავშესაფრის დატოვების შემდეგ. ამას გარდა, მნიშველოვან ფაქტორს წარმოადგენს პანდემიის გამო, სხვადასხვა ღონისძიებების შეზღუდულად განხორციელება და შესაბამისად, ნაკლებ ეფექტური შედეგები. გარდა ამისა, პრობლემის გამომწვევ ფაქტორად გვევლინება მომსახურების მიმწოდებელთა არასაკმარისი ცოდნა არსებული სამართლებრივი მექანიზმებისა და მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

10 UN Women, 2020 წლის ქალთა მიმართ ძალადობის თვისებრივი კვლევა COVID-19-ის კონტექსტში,

11 საქართველოს სახალხო დამცველის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის 2020 წლის ანგარიში გვ.7

# ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების აღკვეთა

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების პროცესში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს ამ დანაშაულების ლატენტურობა. გამოწვევად რჩება დანაშაულის მსხვერპლების მხრიდან დროული შეტყობინება და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობა, რაც თავის მხრივ, სამართალწარმოების ეტაპზე მტკიცებულებების შეგროვების პროცესში სირთულეებს ქმნის.

გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირება მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის გამოწვევას წარმოადგენს. სამართალდამცავთა მუდმივი გადამზადებისა და სპეციალიზაციის მიუხედავად, პრობლემად რჩება გენდერული ნიშნის მოტივის გამოვლენისთვის საკმარისი მტკიცებულებების მობილიზება. ასევე, გამოძიების ეტაპზე რთულია ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, სექსუალურ ძალადობაზე, საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება მოწმეთა და თვითმხილველთა ნაკლებობის ან/და პასიურობის გამო.

### ***გენდერული და ოჯახური ნიშნით ქალთა მკვლელობები***

მიუხედავად ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის და გენდერული თუ ოჯახური ნიშნით ქალთა მკვლელობების პრევენციის მიმართულებით გატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოებისა, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ამ კატეგორიის დანაშაულების ელიმინაცია. საქართველოს პროკურატურის მონაცემების თანახმად, 2014-2022 წლებში ჩადენილია 186 ქალის მკვლელობა, ოჯახური ნიშნით - 92 ქალის მკვლელობა, ხოლო სხვა მოტივით - 94 ქალის მკვლელობა. ამავე პერიოდში ჩადენილია 129 ქალის მკვლელობის მცდელობა, მათ შორი ოჯახური ნიშნით -79 ქალის მკვლელობის მცდელობა, ხოლო სხვა მოტივით -50 ქალის მკვლელობის მცდელობა[12].

წლების მანძილზე განხორციელებულ შემთხვევათა უმრავლესობა ეჭვიანობის ნიადაგზე, ანდა ქცევის გაკონტროლებისა თუ მორჩილების მოთხოვნის მოტივით არის ჩადენილი. მკვლელთა უმრავლესობა ყოფილი ან მოქმედი პარტნიორი მამაკაცია, ხოლო მკვლელობათა გარკვეული წილი ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მოდის.[13]

### ***ძალადობის გამოვლენა, აღკვეთაზე მორეაგირე პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება***

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა საჭიროებს დროულ, კომპლექსურ და კომპეტენტურ მიდგომას. აღნიშნული მიდგომის განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ მაღალკვალიფიციური, მგრძნობიარე და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პროფესიონალებით. ბოლო წლების მანძილზე, საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებში უწყვეტად მიმდინარეობს სამართალდამცავთა და პროკურორთა გადამზადება. თუმცა დანაშაულის ლატენტურობისა და ტაბუირებული ხასიათიდან გამომდინარე, კვლავ საჭიროებად რჩება მორეაგირე უწყებების თანამშრომელთა პერმანენტული გადამზადება, მათთვის შესაბამისი სამართლებრივი ცოდნის, უნარ-ჩვევების და მგრძნობელობის შეძენა.

12 https://m.facebook.com/story.php?story_fbid=pfbid02n72s9S9KSqCZ1eT3t16Fwy4WN3JUKfT2dhjywAGXZexAaBjxci7xTSYfQv8qQhd6l&id=100064494740657

13 საქართველოს სახალხო დამცველი და გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობისთვის“, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში (2019), გვ. 12. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ombudsman.ge/res/docs/2021061415064722095.pdf

კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად, განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება. აღნიშნული მიმართულებით მუშაობის დახვეწის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში და გენერალურ პროკურატურაში ფუნქციონირებს მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები. არსებითად მნიშვნელოვანია ამ სამსახურების მიერ, გაგრძელდეს და გაძლიერდეს მონიტორინგის წარმოება და სამართალდამცავთათვის შესაბამისი სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების მომზადება.

## *განათლების სფეროში არსებული გამოწვევები*

განათლება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელსაც შეუძლია სოციალური ცვლილებების მოხდენა, მათ შორის ქალებისა და გოგოების გაძლიერების და გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ გოგოების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა განათლებაში არ არის საკმარისი გენდერული თანასწორობის მისაღწევად. თუკი მივყვებით განათლებაში გენდერულად ტრანსფორმაციულ მეთოდს, რომელიც არა მხოლოდ აღიარებს გენდერულ უთანასწორობის არსებობას როგორც სასწავლო პროცესში, ისე განათლების სისტემაში, არამედ ემსახურება განათლების მთელი ძალისხმევის მიმართვას დამოკიდებულებების და პრაქტიკების ცვლილებისკენ, შედეგად მივიღებთ გენდერული თანასწორობას უფრო ფართო და მრავალმხრივ კონტექსტში. ბიოლოგიის სწავლების ახალი სტანდარტი მოიცავს განათლების ელემენტებს ადამიანის სექსუალობის შესახებ და ფარავს ისეთ საკითხებს როგორიცაა HIV/შიდსი, ოჯახის დაგეგმარება, ნაყოფიერება და საზიანო პრაქტიკა როგორიცაა ბავშვობის ასაკში ქორწინება.[14]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა განათლების პროგრამას არ ახლავს მასწავლებელთა გენდერული მგრძნობელობის გაზრდისათვის შემუშავებული მოდული ან კურსი.[15] ეს განსაკუთრებით შეეხება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ მასალის ბიოლოგიის კურსში ინტეგრირებას, სადაც სამოქალაქო განათლების პედაგოგებისაგან განსხვავებით, არ ხდება ბიოლოგიის მასწავლებლების გადამზადება გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე.[16]

მიუხედავად იმისა რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში გარკვეული პროგრესი დაფიქსირდა, მათ შორის საპილოტე სკოლებში, პირველიდან მეშვიდემდე კლასებში დაემატა „ექიმის საათი“, გენდერთან დაკავშირებული საკითხების სკოლის პროგრამაში ინტეგრირების მიმართულებით, კერძოდ სამოქალაქო განათლებისა და ბიოლოგიის საგნებში, სხვა საგნებს კვლავ აკლია გენდერული საკითხების გათვალისწინება; სკოლის სახელმძღვანელოები არაა სტერეოტიპებისაგან თავისუფალი და დაბალანსებული და გენდერულად მგრძნობიარე საკითხების სწავლებისათვის მასწავლებელთა არასაკმარისი კვალიფიკაცია კვლავ გამოწვევად რჩება.[17]

სასწავლო რესურსების დამუშავებასთან ერთად საჭიროა მასწავლებლებისა და შესაბამისი პერსონალის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. ტრენინგების პარალელურად მათ უნდა ქონდეთ წვდომა მაღალი ხარისხის რესურსებზე, ტრენინგის მასალებზე, სწავლების მეთოდოლოგიაზე.

14 UN Women, Country Gender Equality Profile Georgia 2020, გვ 25, 27.

15 იქვე

16 იქვე

17 იქვე

სიტუაციის ანალიზის შედეგად, **გამოვლინდა პრობლემების გამომწვევი ფაქტორები და უარყოფითი შედეგები:** ოჯახში ძალადობის ტაბუირებული ხასიათი და მოსახლეობის მხრიდან თანამშრომლობის ნაკლებობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სამართალდამცავთა ეფექტურ საქმიანობას; ძალადობის აღკვეთის ეფექტურობას რიგ შემთხვევებში ხელს უშლის მორეაგირე პროფესიონალთა არასაკმარისი ცოდნა და მგრძნობელობა; საკმარისი სამართლებრივი ინსტრუმენტების ნაკლებობა.

## სტატისტიკის წარმოებისთვის ერთიანი მეთოდოლოგია და ძლიერი კოორდინაცია

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის პოლიტიკის დაგეგმვისას მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენს ერთიანი სტატისტიკის წარმოება, კოორდინაცია და პოლიტიკის ლოკალიზაცია ადგილობრივ დონეზე. დღევანდელი ვითარების ანალიზით, გამოწვევას წარმოადგენს სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობა, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია კონკრეტული ნიშნით და სპეციფიკური ფორმების მიხედვით სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. მაგალითად, არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფში, როგორებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, ხანდაზმული ქალები/პირები, სექსუალური უმცირესობები, რაც ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ინტერსექციული პერსპექტივიდან შეფასების საშუალებას მოგვცემდა.

2020 წლიდან ამოქმედდა სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული პროგრამა, სადაც გათვალისწინებულია სტატისტიკის კომპონენტიც. სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული პროგრამის საფუძველზე, საქართველოს სრულ ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა გრევიოს კითხვარით გათვალისწინებული „big five criteria“ მიხედვით. მნიშვნელოვანია, რეგულარულად და სისტემატურად შეგროვდეს და გაანალიზდეს მონაცემები სხვადასხვა ჯგუფის მიმართ ძალადობის შესახებ, როგორებიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, ხანდაზმული ქალები, და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები[18].

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტი სახელმწიფო უწყებებისთვის მათი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, რათა გამარტივდეს ინსტიტუტებს შორის კოორდინაცია და მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი.

სიტუაციის ანალიზის შედეგად, **გამოვლინდა პრობლემების გამომწვევი ფაქტორები და მისი უარყოფითი შედეგები.** კერძოდ, არ ხორციელდება სტატისტიკის დამუშავება ერთიანი მეთოდოლოგიით, რაც გამოწვეულია ერთიანი მეთოდოლოგიის ინსტრუმენტის არ არსებობით. შესაბამისად, სტატისტიკა წარმოებს უწყებების მიერ, ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც ართულებს ერთიანი სურათის დანახვის შესაძლებლობას; ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების თანამშრომლობას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქვეყნის მასშტაბით ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კუთხით, ასევე, ამ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმეში.

18 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-04/Country%20Gender%20Equality%20Profile%20GEO.pdf

სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით ეს თანამშრომლობა არ არის ძლიერი, რაც გამოწვეულია ერთობლივი თემატური ღონისძიებების ჩატარების ნაკლები ინტენსივობით, თუმცა არსებობს მისი განვითარების რესურსი, მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და გენდერულ საკითხებში მრჩევლების გაძლიერების და გააქტიურების გზით.

# 3. სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები

იდენტიფიცირებული მოქმედების სფეროების შესაბამისად და სიტუაციის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ, შემუშავდა ეროვნული სამოქმედო გეგმის კონკრეტული მიზნები და ამოცანები.

<table>
<tr><th colspan="7">მოქმედების სფერო I: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია</th></tr>
<tr><td>მიზანი 1.</td><td colspan="4">ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების ხელშეწყობა და პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესება</td><td>მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:</td><td>მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.</td></tr>
<tr><td rowspan="3">გავლენის ინდიკატორ(ებ)ი 1.1.</td><td rowspan="3">საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების მიმღებლობის მაჩვენებელი</td><td></td><td>საბაზისო</td><td>სამიზნე</td><td colspan="2" rowspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2017</td><td>2024</td></tr>
<tr><td>მაჩვენებელი</td><td>ქალების 22% და კაცების 31 % გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს ქალის ცემას (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017)</td><td>ქალების 12% და კაცების 21 % გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს ქალის ცემას</td><td colspan="2">ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ.გვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებ.გვერდი.</td></tr>
<tr><td rowspan="3">გავლენის ინდიკატორ(ებ)ი 1.2.</td><td rowspan="3">სახელმწიფო უწყებების პროცენტული წილი, რომლებმაც უზრუნველყვეს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია</td><td></td><td>საბაზისო</td><td>სამიზნე</td><td colspan="2" rowspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2017</td><td>2024</td></tr>
<tr><td>მაჩვენებელი</td><td>არ არსებობს</td><td>პრევენციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებების 90%</td><td colspan="2">წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიში 2024 წლის</td></tr>
</table>

| ამოცანა 1.1. | ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1** | პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია "ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
| | | **წელი** | **2017** | **2024** | |
| | | **მაჩვენებელი** | ქალი (%) - 67.4; კაცი (%) - 73.5 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017) | ქალი - მინიმუმ 75%, კაცი - მინიმუმ 75% | ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ.გვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებ.გვერდი. |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2** | პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების არსებობის შესახებ | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
| | | **წელი** | **2017** | **2024** | |
| | | **მაჩვენებელი** | ქალი (%) - 61.7; კაცი (%) - 48.8 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017) | ქალი - მინიმუმ 75%, კაცი - მინიმუმ 75.% | ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ.გვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებ.გვერდი. |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3** | პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
| | | **წელი** | **2017** | **2024** | |
| | | **მაჩვენებელი** | ქალი (%) - 38.0; კაცი (%) - 31.6 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017) | ქალი - მინიმუმ 50%, კაცი - მინიმუმ 50% | ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ.გვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებ.გვერდი. |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.4** | პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზის (116 006) შესახებ | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
| | | **წელი** | **2017** | **2024** | |
| | | **მაჩვენებელი** | ქალი (%) - 76.8; კაცი (%) - 71.0 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017) | ქალი - მინიმუმ 85%, კაცი - მინიმუმ 85.% | ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ.გვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებ.გვერდი. |
| **რისკი:** | **საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა** | | | | |

| მოქმედების სფერო II: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მიზანი 2.** | **ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის (დაზარალებულებისთვის) ხარისხიან მხარდაჭერის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა** | | | | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე. |
| **გავლენის ინდიკატორ(ებ)ი 2.1.** | ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პროცენტული წილი, ვინც დახმარებისთვის მიმართა რაიმე სახის მხარდაჭერის მომსახურებას ან/და სახელმწიფო ორგანოს | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** | |
| | | **წელი** | **2017** | **2024** | | |
| | | **მაჩვენებელი** | ქალების 26%-მა მიმართა დახმარებისთვის, აქედან 18%-მა - პოლიციას, 8%-მა - ჯანდაცვის დაწესებულებას ან სასამართლოს (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017, საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია) | ძალადობის მსხვერპლთა 36% მიმართავს დახმარებისთვის | ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია | |
| **ამოცანა 2.1.** | **მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით** | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1** | GREVIO-ს მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების (პირველი ანგარიშის შესაბამისად) განხორციელების პროცენტული წილი | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** | |
| | | **წელი** | **2021** | **2024** | | |
| | | **მაჩვენებელი** | 0% | მინიმუმ 60% | წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში | |
| **რისკი:** | **საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა** | | | | | |

| ამოცანა 2.2. | ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1. | ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი თავშესაფრების რაოდენობა | | საბაზისო | სამიზნე | დადასტურების წყარო |
| | | წელი | 2017 | 2024 | |
| | | მაჩვენებელი | 5 სახელმწიფო თავშესაფარი | 6 თავშესაფარი | სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ანგარიშები |
| რისკი: | საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა | | | | |

| ამოცანა 2.3. | ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1 | აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებების პროცენტული წილი, რომელიც სთავაზობს დასაქმებულებს სწავლებას (საგანმანათლებლო ტრენინგებს) პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით | | საბაზისო | სამიზნე | დადასტურების წყარო |
| | | წელი | 2017 | 2024 | |
| | | მაჩვენებელი | სახელმწიფო უწყებების 100% | მაჩვენებლის შენარჩუნება - სახელმწიფო უწყებების 100% | წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში |
| რისკი: | საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა | | | | |

## მოქმედების სფერო III: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა

| მიზანი 3. | ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფა | მდგრადი განვითა-რების მიზნებთან (SDGs) კავშირი: | მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე. |
|---|---|---|---|

| **გავლენის ინდიკატორი 3.1.** | ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ფატების შესახებ შეტყობინებებზე/განცხადებებზე რეაგირების მაჩვენებელი | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
|---|---|---|---|---|---|
| | | **წელი** | **2017** | **2024** | |
| | | **მაჩვენებელი** | 100% | 100% | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები და სტატისტიკა (ვებ. გვერდი www.polic.ge) |
| **ამოცანა 3.1.** | **რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით** | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1.** | შესაბამის რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელ უწყებებში მომზადებულ/გადამზადებულ პროფესიონალთა წილი | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
| | | **წელი** | **2017** | **2024** | |
| | | **მაჩვენებელი** | 50% | მინიმუმ 60% | წინამდებარე გეგმის ანგარიშები |
| **რისკი:** | **საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა** | | | | |

## მოქმედების სფერო IV: ინტეგრირებული პოლიტიკა და მონაცემების შეგროვება

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიზანი 4.** | **ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის/პრევენციის და მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდა ინტეგრირებული და კოორდინირებული მიდგომების გაძლიერებით** | **მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:** | მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **გავლენის ინდიკატორი 4.1.** | უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებლები შეფასებულია "EIGE" სტანდარტით | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
| | | **წელი** | **2017** | **2024** | |
| | | **მაჩვენებელი** | ნაწილობრივ ან სრულად დაკმაყოფილებული მაჩვენებელი შეადგენს 57%-ს (21-დან 12 ინდიკატორი) წყარო: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში "გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში" | ნაწილობრივ ან სრულად დაკმაყოფილებული მაჩვენებელი შეადგენს 70%-ს (21-დან 14 ინდიკატორი) | საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში "გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში" |
| **ამოცანა 4.1.** | **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება** | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1.** | ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის არსებობა | | **საბაზისო** | **სამიზნე** | **დადასტურების წყარო** |
| | | **წელი** | **2017** | **2024** | |
